საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 399 1918 წ. სამშაბათი, დეკემბერი 3. № 399

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რაიონს გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფოთში ინგლისელების ორი კრეისერი და გამანადგურებელი მოვიდა. გამანადგურებელი ბათომს წავიდა. გერმანიის სახალ. კომის. საბჭომ გადასწყვიტა ეროვნულ ყრილობის არჩევნები მოახდინოს 1919 წლის თებერვლის 19 ვილსონი საფრან. გამოემგზავრა. ინგლისის მუშ. პარტია მოითხოვს ომის შეწყვეტას და რუსეთიდან მოკავშ. ჯარებ. დაბრუნებას.

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ბათლომე გრიგორის ძე მეგრელიძე შვილებით, სიდედრი ანუსი, რძალი ივდითი და მაზლი იაგორ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მუდამ ძვირფას და დაუვიწყარს

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, დეკემბრის 5 ს (ახალი სტ.) 3 საათზე ს. ქვენობანში (გურია). 2499

გაუბედურებული სონა აბაშიძის ასული, ელენე და გრიშა ლეჟავები ცხარე ცრემლებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი თავის იმედის საყვარელი შვილის და მეორენი ძვირფასი ძმიკოს

შალიკოს

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც ბოროტმა ხელმა გამოასალმა უდროოდ წუთი სოფელს. გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია დეკემბრის 3, სამშაბათს, ნაშუადღ. 3 საათზე. 2507

ელენე ივანეს ასული და იასონ ყარადებულის ძე აფაქიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა ძვირფასი დედა, მეორისა სიდედრი და უკანასკნელთა დიდედა

ნინო გიორგის ასული თარხან-მოურავის

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ს. განსვენებულის ბინაზე (დუშეთის ქუჩაბანდი № 16) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2448

ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სასადილოს გამგის

ნინო გიორგის ასულ თარხან-მოურავის

გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, დეკემბრის 3-ს, დილის 10 ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში განსვენებულის ბინიდან 1 დუშეთის შესახ. № 16. 2506

ღრმად დამწუხრებულნი ელენე ივანეს ასული და იასონ ყარადებულის ძე აფაქიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ გასულ ნოემბრის ოცდა ათს გარდაიცვალა პირველის საყვარელი დედა, მეორის დაუვიწყარი სიდედრი და უკანასკნელთა აღმზრდელი ბებია

ნინო გიორგის ასული თარხან-მოურავი,

მიცვალებულის გამოსვენება მისი ბინიდან (პირველი დუშეთის ტუპიკი № 16) მოხდება სამშაბათს, დეკემბრის 3 ს, დილის ათ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში ლიტურგია და პანაშვიდის შემდეგ. 2498

გულდათუთქულნი მშობლები: ელისბარ მიქელის ძე და ფოტინე იესეს ასული ჰანიშვილები, დები: ქეთევან ელისბარის ასული ბურჭულაძისა მეუღლით, ტატიანა და ქსენია, ძმები: დავით, კონსტანტინე, რაჟდენ და დანიელ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულ მეგრელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს (ახ. სტ.), ნაშუადღ. 3 ს. სოფ. ქვემოშანში (გურია). 2499

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სოფიო ისაკის ასული მაღალაშვილისა, შვილები: შოთა და რუსუდანი, ძმა დავით ივანეს ძე მაღალაშვილი; დები: ნინო, ნადეჟდა, ეკატერინე ივანეს ასული ფურცელაძეები და ეკატერინე ხიმშიაშვილისა, რძალი სოფიო რომანოზის ასული მაღალაშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

მიხეილი ივანეს ძე მაღალაშვილი

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს, სოფელ ჩოჩეთში, წმიდა გიორგის ეკლესიაში. 2503

ნინო მიხეილის ასული ავსენტი ივანეს ძე ჯანგველაძე და აგრაფინა მიხეილის ასული სილოვან როსტომის ძე, შვილები: ვანო და ვახტანგი ბაბუნა გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა ნათლიმამა და მეორისა სიძე

ევგენი ბართლომეს ძე იაშვილი

გამოსვენება სამშაბათს, დეკემბრის 3 ახალი სტილით, გონჩაროვის ქ. № 8. წირვა დაიწყება დილის 9 ს ანჩისხატის სობოროში. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზედ 2508

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ბარბარე თეიმურაზის ასული შვილებით, ამით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ნოემბრის 30-ს, გარდაიცვალა პირველისა ქმარი და დანარჩენთა მამა

ლუარსაბ მერაბის ძე ბედევანიშვილი

გამოსვენება დეკემბრის 3 ს, საკუთარ ბინიდან მამადავითის ქ. № 35 დილის 10 ს. წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1425

ბარბარე თეოფანეს ასული კობიაშვილისა შვილებით და რძლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხვალ, დეკემბრის 4, ოთხშაბათს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება გენერლის

ალექსანდრე იოსების ძის კობიაშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე. 2510

ღრმად დამწუხრებულნი: ქალი ლუბოვ ლვოვის ასული და სიძე კონსტანტინე დავითის ძე გაბაშვილები, ძმისწულები: ზაქარია და ნიკოლოზ ილიას ძენი აბაშიძეები ცოლ-შვილით, დისწულები: ლუბოვ სიმონის ასული ციციშვილისა, მარიამ სიმონის ასული ბაგდანოვისა, ნინო სიმონის ასული გომელაურისა და გიორგი სიმონის ძე ვაჩნაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 30 გარდაიცვალა

ელისაბედ ზურაბის ასული სტალინსკისა

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, დილის 10 ს. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან, გიორგიევის ქ., № 5. დაკრძალვა იმავე დღეს, ვერის წმ ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2511

ტფილისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ რომ, ნოემბრის 30-ს, გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი, ყოფილი ამავე სასწავლებლის უმფროსი

ლუარსაბ მერაბის ძე ბედევანიშვილი

მიცვალებულს გამოასვენებენ დეკემბრის 3-ს, თავის ბინიდან მამადავითის ქ. № 35 დილის 10 წმ. ნინოს გიმნაზიის ეკლესიაში, ხოლო დამარხვა კუკიის წმ ნინოს სასაფლაოზე. 2502

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არს. ქარს. სახ. წარ. მმარ. წრე

დღეს, სამშაბათს დეკემბრის 3-ს 1918 წ. ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალების მიერ ვ. აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტკა

არშინ მალ-ალან

4 მოქმ. გაჯიბეგოვისა, თარგ. ვ. გიგოშვილისა.
ორკესტრს დირიჟორობს ცნობილი მეთარე „სერჟი“
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში სად. 5—8 საათ. დასაწყისი საღამოს სრულს 7 საათზე.

2505 ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, დეკემბრის 3-ს

შულგინას, ზალიპსკის, ვრონსკის, მოროზოვას მონაწილეობით

1. მადამ ბატერფლეი. 2. კავალერიის ბანაკი (ბალეტი).

ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს ვ. ნიკოლსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე პირველად 1. **მოცარტი და სალიერი.** 2. **სევილიელი დალაქი.** მონაწილეობენ საბანეევისა, პოლიაევი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს, საბანეევის, ალეშკოს, მოროზოვას, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით **ჰუგენოტები.**

შაბათს, დეკემბრის 7-ს ბენეფისი ა. მ. კანშინისა პირველად წელს **ნერონი** შულგინას, შვამბერგის, კანშინის, პოლიაევის და ისეცკის მონაწილეობით 1397

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ დეკემბრის 3-ს

დიდი გალა წარმოდგენა

სამს განყოფილებად. იქნება 20 ნომერი. მონაწილეობენ: იაპონელთა დასი **იამადა-საკომისი.** აჩვენებენ **ხარაკირს.** გასტროლი მისტერ **რიჩარდსონი** ჰაერის მეფეთა **სამი ეშმაკის.** კომიკოსები **ვიქტორ და დიმი.**

ანონსი: ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს გრანდიოზული კავკასიური ჭიდაობა, დაუკრავს ზურნა.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 5209

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნულია საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1426

ისარგებლეთ შემთხვევით

გოლოვინის პრ. 12. იღება ორშაბათს, დეკემბრის 2-დან მაღაზია მოკლე დროით, სადაც იქნება გასასყიდლად მრავალი საქონელი მოტანილი კონსტანტინეპოლიდან გალანტირეია და მანუფაქტურა, წვრილად იმ ფასებში, როგორც პარტიობით, დასაკმაყოფილებლად საზოგადოებისათვის. 2495

ტფილისი, დეკემბრის 3.

არც გვრცხვენია, არც გვეშინია!

დეკემბრის 1 როგორც 26 მაისი სამარადისო დარჩება ქართველ ერის ისტორიაში. 1917 წლის 22 ნოემბერის გაუბედავი ნაბიჯი ქართულ პოლიტიკურ ჯგუფებისა ისტორიის მოძრაობაში გარდაიქმნა საქართველოს ნაბიჯად, ქართველ ხალხის ბჭედ, რომელსაც გაბედულად დაეყრდნო საქართველოს მუდამ ფხიზელი, მუდამ მოძრავი დემოკრატია. დეკემბრის 1 ქართველ ერის ძალამ — პირველმა პარლამენტმა რეტროსპექტიულად გადახედა თავის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით აღსავსე წარსულს და მთელი ქვეყნის წინაშე გაბედულად გამოაცხადა: — ჩვენი ბრძოლის და შემოქმედების არც გვრცხვენია, არც გვეშინია!

„არც გვრცხვენია და არც გვეშინია!“ — სრული, ქართველური დახასიათებაა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა. ეს დახასიათება ეკუთვნის საქართველოს პირველ პარლამენტის უმაღლო თავმჯდომარეს — რუსეთის რევოლუციის წიაღში გაკაჟებულ კარლო ჩხეიძეს. ქართველი ერის გამობრძმედილი სინიდისი, ისტორიის კალთებში გაჭედილი გამბედაობა გამოხატა ამ ორ სიტყვაში კარლო ჩხეიძემ. ამ ამოძახილმა საქართველოს პარლამენტი ხავსებით შეიპოჭა და დარბაზის ბჭეებმაც განიცადეს ამ სიტყვების სიმართლე და გრძნობანი.

განვლილ ექვსი თვის განმავლობაში ქართველ ერს ბევრი მოყვარე ჰყოლია, მრავალს განუცხადებია მეგობრობა, ესოდენივე გამოგვაჩნდა ორგული და მოქიშპე, ბევრს კეთილად გაუწოდეთ ხელი, ბევრსაც ღირსეულად უთხარით — „ხელი შორს“, მაგრამ დღეს, როცა განვლეთ ასეთი ჭიდილის ხანა, ცივად ვათვალიერებთ ნამოქმედარს, თამამად ვეტყვით მეგობრებს: — არა გვრცხვენიან ჩვენი შრომისა, ჩვენი პატიოსანი სიტყვისა, ვინაიდან არც ერთ შემთხვევაში არ გამოგვიჩენია მუხანათობა, გაიძვერაობა და ენის წვერზე არ გამოგვიტანია რაც ტვინში და გულში არ გვქონდა ჩაბეჭდილი. მტრებისაც არ გვეშინოდა ისტორიულ წარსულში და ეხლაც, რაც ჩვენს წინაშე ახალი სილიუეტები იმართებიან გამოუცნობ მეგობრებისა და მტრებისა — თამამად ვამბობთ — არ გვეშინიან!

არსებითი მნიშვნელობა ამ ისტორიული ამოძახილისა ის არის, რომ პოლიტიკურ პამფლეტის დეკლარაციის სულს არ შეადგენს იგი ამოძახილი. ქართველობის ზნეობრივი ენერგია, ერთ ჯიღში მოქცეული, ამავე დროს მთელ ერის თავდადება სამშობლოისათვის, დიდ ქონებრივ და ეკონომიურ შესაძლოების გამაგრების მასალად გამოყენება იმ ძალას წარმოადგენს, რომლითაც „არ გვეშინიანის“ ამოძახილს რეალური საფუძველი ეძლევა.

ნ. ჟორდანიამ კარგად სთქვა: — ქართველობა ყოველთვის ევროპისაკენ მიისწრაფოდა და როგორადაც არ უნდა შეიცვალოს ისტორიის ჩარხის ტრიალი ჩვენი თვალი იქნება ევროპისაკენ, ევროპის დემოკრატიისაკენ და ამ გზაში ქართველობა თავის სახეს და ინტერესს არ დაჰკარგავს. აი ეს სწორი, გაბედული, გადაჭრილი პოლიტიკა წარმოადგენს კიდევ იმ საფუძველს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაცხადოთ: — მომავალის არ გვეშინიან!

დეკემბრის 1 საქართველოს დღესასწაული იყო. ქურქში გახვეული პოლიტიკური ტურები განზე გადგნენ და გაზეთებშიაც არ აღნიშნეს ქართველ ერის სიხარული. საქართველოს ძლიერების დემოკრატიული მხარე: გაწვრთნილი ჯარი, დარაზმული გვარდია, დისციპლინით შეკავშირებული მილიცია და სიცოცხლით აღსავსე ქართველი ხალხი — ყველას ეუბნებოდა, რომ საქართველოს მტრებს კიდეც უნდა რცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს, რათა მათ საქმე აქვთ ზნეობრივად და მატერიალურად შექმნილ სახელმწიფოსთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას თავისუფლების, სამართლის, წესიერების და დემოკრატიის წინააღმდეგ.

იმედები, იმედები, უსაზღვრო სასოება და მუშაობის ხალისი ვიგრძენით დეკემბრის პირველს. რა ქარტეხილიც არ გადაიაროს ჩვენს სამშობლოს კალთებზე ჩვენი ხალხი სწორ გზას დაადგა, ნაციონალური და ინტერნაციონალური პოლიტიკა კულტურულად ერთმანეთს ექსოვებიან და ამ პოლიტიკის განვითარებით ჩვენი მომავალი, ბრწყინვალე მომავალი — უდავოა.

ვიშრომებთ, ვიბრძოლებთ, ვიცოცხლებთ და ამ მრწამსით ისევ ვიწყებთ მოღვაწეობას, ბრძოლას, სიცოცხლეს, დარწმუნებულნი, რომ შრომა ქმნის არა მარტო მატერიალურ სიმდიდრეს, ზნეობრივ და პოლიტიკურ სიმდიდრესაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობაში

განათლების სამინისტრომ განიხილა მოხსენება, წარმოდგენილი მე-4 გიმნაზიის დირექტორისაგან. ზაალიშვილის კერძო გიმნაზიის შესახებ, და გადასწყვიტა „კალიის" გიმნაზია დაიხუროს, როგორც ბრა შესიფერებელი განათლების სამინისტროისა.

—

განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორის ვ. ბერიძის მიერ შედგენილი პროგრამა ქართული ენისათვის ამ დღეებში გამოვა.

უკანასკნელი ცნობები

სომხების დაპატიმრება.

ტფილისში, ერევანში, თეირანში, ენზელში, კრასნოვოდსკში, დაშნაკცუთიუნის პარტიის აღმოსავლეთ ბიუროს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სომხეთის კორპუსის უფროსს. 29 აგვისტოს ლიპარიტ ნაზარიანცი და მე დაგვაპატიმრა მოსკოვში ბოლშევიკების მთავრობამ შაუმიანის და მისი ვაჟების მძევლად. ციხეში ვიტანჯებით და ნახევრად მშიერი ვართ. დღეში გვაძლევენ $^3/_4$ გირვ. პურს და ორ საინ სრულიად წყლიან ბორშს, მეტს არაფერს, ვიტანჯებით ფიზიკურად და სულიერად. მთავრობამ ჩვენი ბედი შაუმიანის ბედს დაუკავშირა. ჩვენი ბედი თქვენს ხელშია. გთხოვთ ჩვენს შესახებ მოლაპარაკება გამართოთ საბჭოების მთავრობასთან. სომხ. საქვ. კომ ოგანესოვი.

ვილჰელმის ოფიციალური გადადგომა.

გერმანულ მისიას შეატყობინეს, რომ ნოემბრის 28 ვილჰელმმა ოფიციალურად განაცხადა' რომ უარს ამბობს თავისი და შვილის სახელით გერმანიის ტახტზე და ანთავისუფლებს ფიციისაგან ყველა მოხელეებს გერმანიისას.

დღეს დღეობით ვილჰელმი ოჯახობით იმყოფება ამირონ-გენში (ჰოლანდიაში).

ინგლისელები ფოთში.

როგორც გერმანელთა მისსია გადმოგვცემს, ნოემბრის 30 ფოთში მოვიდა ინგლისელების 2 კრეისერი და 1 განმანადგურებელი. მათმა უფროსმა ჯერ მოითხოვა გერმანელებისათვის იარაღის აყრა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ინგლისის უმაღლეს მართველს მოელაპარაკა, თავის ბრძანება შესცვალა. კრეისერი და განმანადგურებელი წავიდა ფოთიდან ბათომისაკენ.

მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის საინფორმაციო ბიუროსაგან.

უკანასკნელ 2—3 დღის განმავლობაში გავრცელდა ხმა ვითომ პეტროვსკი ბოლშევიკების ხელშია. ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. 1 დეკემბერს საღამოთი თემირ-ხანშურიდან და პეტროვსკიდან მოსულ ოფიციალურ ცნობის თანახმად პეტროვსკი და სადგური „ჩირიურტი", „ხასავ-იურტი" და „გუდერმესი" მთიელთა მთავრობის ჯარს უჭირავს და პეტროვსკას არავითარი საფრთხე არ მოელის ბოლშევიკების მხრით. რკინის გზის ხაზი აღდგენილია.

საერო დღესასწაული

კვირა, დეკემბრის 1.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ექვსი თვის თავზე საქართველოს პარლამენტში გაიმართა სადღესასწაულო სხდომა.

მთელი დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული:

პრეზიდიუმის ტრიბუნა, მინისტრთა მაგიდა, უცხოელთა ლოჟა და მთავრობის წარმომადგენელთა სკამები ყვავილებით არის მორთული.

პრეზიდიუმის მაგიდასთან კედელზე აღმართულია ეროვნული დროშა.

პარლამენტის წევრების მკერდს ამშვენებს მიხდის ფერი ყვავილი.

12 ს. 40 წ. დარბაზში შემოდიან პარლამენტის პრეზიდიუმი, და საქართველოს მთავრობა ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე ხსნის კრებას და მკვეთრი, დასაბუთებული სიტყვით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

ექვსი თვეა რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, დრო ძალიან მცირე ხალხთა ცხოვრებაში, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი საქართველოსათვის. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ დაამტკიცა, რომ მის მესვეურთ აქვსთ უნარი სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა, მას აქვს ძალა რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის. საქართველომ ყველაზე უკეთ აღმართა დროშა რევოლიუციისა და დემოკრატიზმისა და ღირსეულად დაიცვა ამ დროშის პატიოსნება.

ბევრი მტერი ჰყავს საქართველოს, ამ მარგალიტს და ძვირფას სამკაულს: მას ებრძვიან ძველი რუსეთის მეოცნებენი, მას სამკვიდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ბოროტი ზრახვებით აღსავსე ეშმაკის მოციქულები.

მაგრამ საქართველო მტკიცედ სდგას თავის ისტორიულ გზაზე და მას არასოდეს გადაუხვევს:

ის იყო მარგალიტი და სამკაული ძველი რუსეთისა, მაგრამ შემცდარნი არიან მეოცნებენი, თუ ჰგონიათ, რომ ის კვლავ დაუბრუნდება რუსეთს, რომ მისი სამკაულობა გასწიოს: საქართველო განამტკიცებს თავის დამოუკიდებლობის, თავის თავის დაცვას, ხოლო არასოდეს გაჰყვება აია-სოფიას და სტამბოლის მოტრფიალეთ. იმპერიალისტურ ავანტიურას არ არის ნაჩვევი საქართველო.

საქართველო ყოველ ღონეს იხმარს, რომ აღგმოს ეშმაკის მოციქულნი, რომელნიც დაგვტირიან და დაგვჩხავიან. ხოლო თუ არის ვინმე კეთილმოსურნე, კეთილ ინებონ, მობრძანდნენ და დაგვეხმარონ სახელმწიფოს აღშენებაში.

მდიდარი ბუნება საქართველოსი მუდამ ღიაა საქართველოს კეთილის მყოფელთათვის: ვისაც შეუძლია ისარგებლოს ამ ბუნებით და ჩვენც გვასარგებლოს, მისთვის კარები ღიაა. ხოლო ვინც მოდის ჩვენში ჩვენი განადგურებისათვის, მას ვეტყვით: „შორს ხელი".

პარლამენტის თავმჯდომარის შემდეგ ლაპარაკობს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. პრემიერ მინისტრს მოჰყავს მოკლე ანგარიში იმისა, თუ რა გააკეთა ამ ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოებრივობისა და დემოკრატიზმის განსამტკიცებლად: მოვაწყვეთ ერობა, განვახორციელეთ აგრარული რეფორმა, მოვაწყვეთ სკოლები, ფოსტა-ტელეგრაფი. სასამართლო და სხ... ყველაფერი ამით საქართველომ დაამტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტი დამცველია თავისუფლებისა და წესიერებისა, და დაამტკიცა, რომ მის გზა სწორედ იყო და სამართლიანადაც არ გაჰყვა რუსეთს ბოლშევიკების გზას, რომელმაც რევოლიუცია ანარქიად შესცვალა.

საქართველო მტკიცედ დაადგა დამოუკიდებელ გზას და ის არასოდეს გადაუხვევს მას: დამოუკიდებლობის აქტით, მან სძლია აზიური ბარბაროსობა და უშუალოდ შევიდა და ის მუდამ ივლის ამ გზით.

სამართლიანი არ არის ყველა ის ჩივილი, რომელიც გაისმის საქართველოს წინააღმდეგ. მტრები ხმებს ავრცელებენ, რომ ჩვენ რუსები გავრეკეთ. ეს ჭორია, ჩვენ მოსისხლე მტრების მიერ მოგონილი. რუსები ჩვენ ღირსეულად გავისტუმრეთ მით სამშობლოში და რუსეთის მაგიერ ამისათვის 98 მილიონი დავხარჯეთ.

ასეთ მტრებს, ჩვენ დამოუკიდებლობას რომ სამარეს უთხრის, ჩვენ ვეტყვით: „აიღეთ ხელი, გადაეშვით იქ, სადაც თქვენი ადგილია".

ხოლო ვინც ჩვენი კეთილის მყოფელია, მისთვის მუდამ ღიაა ჩვენი კარები. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება— ვეტყვით მათ,—და ჩვენი დახვედრა".

ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე კრებას დახურულად აცხადებს **ხ. ყ.**

---

12 საათსა და 40 წუთ. პრეზიდიუმის ტრიბუნაზე თავ-თავის ადგილს იჭერენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჩხეიძე**; თავმჯდომარის ამხანაგები: **ექვთიმე თაყაიშვილი** და **იესე ბარათაშვილი**; და მდივნები: **დავით ონიაშვილი** და **იოსებ აბაკელია**.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაბრძანდეთ, კრება გახსნილი გახლავს.

მუსიკა უკრავს ქართულ ეროვნულ ჰიმს.

პარლამენტის წევრნი, საქართველოს მთავრობა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები და დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომით ისმენს ეროვნულ ჰიმნს.

პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვა.

ნ. ჩხეიძე. მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! ექვსი თვეა მას შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ექვსი თვეა მხოლოდ, რაც არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ხალხის ცხოვრებაში, სახელმწიფოთა ისტორიაში, რასაკვირველია, ეს ძალიან ცოტა დროა. მაგრამ იმ ხანაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, როდესაც ხდება ძირითადი ცვლილებები კაცობრიობის ცხოვრებაში და ჩვენ შევდივართ ახალ ხანაში, მაშინ ისეთ ნაბიჯს, ჩვენ რომ გადავდგით ამ ექვსი თვის წინად, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა, ნეიტრალობა და ხალხთა შორის სოლიდარობა—აი ის საფუძვლები, რომელზედაც დავამყარეთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობა, და ჩვენ ჩვენის ნებით ამ გზას არ გადავსცილდებით.

მე ზედმეტი მიმაჩნია განვმარტო მნიშვნელობა ჩვენი დამოუკიდებლობისა. მე მინდა ყურადღება მივაქციო შემდეგს: მეფის რუსეთი მოსისხლე მტერი იყო ხალხთა თვითგამორკვევისა. ამიტომ მოხდა, რომ, როცა მეფის რუსეთი დაინგრა, სხვათა შორის უპირველესად გაისმა ლოზუნგი ხალხთა თვითგამორკვევისა და ძველი რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენდა სხვა და სხვა დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოები. ეს სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო და თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება, ის ძალიან სცდება.

საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა სხვებზე უგვიანეს გამოაცხადა; გამოაცხადა მაშინ, როდესაც რუსეთი ნანგრევებად იქცა და რევოლიუცია ანარქიად შეიცვალა. მიუხედავად ამისა, არც ერთს აქტს დამოუკიდებლობისას რუსეთში არ გამოუწვევია ისეთი მწვავე ინტერესი, რომელიც გამოიწვია აქტმა ჩვენი დამოუკიდებლობისა.

დამოუკიდებელ საქართველოს სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს იმ ელემენტებმა, რომლებზედაც დაყრდნობილი იყო თვითმპყრობელობა. ისინი დაჯერებული არიან, რომ საქართველო მარგალიტია, რომელიც ამშვენებდა თვითმპყრობელ რუსეთს და რომელიც კვლავ უნდა დარჩეს ასეთ სამკაულად მაშინაც, როდესაც, მათი იმედით, აღსდგება მეფის რუსეთი.

საქართველოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს რუსეთის იმ ელემენტებმა, რომელნიც მუდამ აია სოფიაზე და სტამბოლზე ოცნებობდნენ; და ისინი ვერ მიხვედრილან და ვერც მიხვდებიან, რომ დამოუკიდებელი საქართველო არასოდეს არავითარ მონაწილეობას მილიტარისტულ ავანტიურაში არ მიიღებს. საქართველო არასოდეს შეეცილება სხვას, ის მხოლოდ თავის თავს დაიცავს.

დამოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადეს ბოლშევიკებმა, რადგანაც საქართველომ შესძლო რევოლიუციის დაცვა, ხოლო მათ, ბოლშევიკებმა, რევოლიუცია ანარქიად შესცვალეს.

არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას, ასე ვთქვათ ობივატელურად ანუ სიხარბის თვალით უყურებენ. მათი ხელობა არის ხშირად კინკლაობა. ესენი მაინცა და მაინც არ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს, მაგრამ მაინც მზად უნდა ვიყვეთ. მათ პოლიტიკას ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ ჩვენი მტკიცე და გულახდილი პოლიტიკა ხალხთა სოლიდარობისა, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ჩვენი პოლიტიკით ჩვენ მათ მოვაჰკვიანებთ, გონს მოვიყვანთ.

არის კიდევ ერთი ჯურის ხალხი, რომელიც უარყოფით არ ეპყრობა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ მუდამ დაგვსტირის, რომ ჩვენ ვართ სუსტნი ქონებით, ჩვენ ვართ სუსტნი ეკონომიურად და ვერ შევსძლებთ დამოუკიდებელ არსებობას. უდიდესი ნაწილი ამ ჯურის ხალხისა არიან ეშმაკის მოციქულები. და თუ არიან ამ ჯურის ხალხში გულწრფელნი, რომელთაც გული შესტკივათ დამოუკიდებელ საქართველოსათვის, ჩვენ მათ ვეტყვით- „მოდით თქვენი გამოცდილებით, თქვენი ცოდნით და დაგვეხმარეთ სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

საბედნიეროდ, ჩვენ, ხალხის წარმომადგენელნო, მეგობრებიც გვყავს, გვყავს კეთილ მოსურნენი და ამაზე მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ:

თქვენ კარგად იცით, რომ რაც რუსეთის დემოკრატია ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა, ჩვენი დემოკრატია მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა. ანარქიამ და კონტრ-რევოლიუციამ, რომელიც ბოლშევიზმმა დაბადა რუსეთში, დემოკრატია შეჰბოჭა და საერთო დემოკრატიული მუშაობაც შესწყდა. ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ ეს იყო შედეგი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, და ვინც ასე ჰფიქრობს, ის ვერ არჩევს შედეგს მიზეზისგან. ჩვენი დამოუკიდებლობა გახდა აშკარა პირობა ჩვენი თვითგამორკვევისა და თუ ეს თვითგამორკვევა ნორმალურ პირობებში იწარმოებს, საერთო მუშაობაც მთელი დემოკრატიისა აღსდგება.

ჩვენ ვეტყვით დემოკრატიას, რომ საქართველოზე დღეს ბევრ ჭორს ავრცელებენ, ბევრ ცილს სწამებენ და უნდა მიჰმართოთ კაცობრიობას და დაჰგმოთ მთელი კაცობრიობის წინაშე ასეთი საქციელი. ეს საჭიროა, რადგან ჩვენ ძალიან ცუდად გვიცნობენ ისინი, ვის ხელშიაც არის დღეს ცხოვრების მესაჭეობა.

მართალია, ჩვენ თანაგრძნობით გვხვდებიან უცხო სახელმწიფოები. აქ, პარლამენტის დარბაზშიაც ბრძანდებიან წარმომადგენლები სხვა და სხვა სახელმწიფოებისა (მთელი დარბაზი ტაშისცემით და ფეხზე ადგომით მიმართავს უცხოელთა ლოჟისაკენ).

ჩვენ ეხლა ხანს შემთხვევა გვქონდა შევხვედროდით და დაგვემტკიცებინა ევროპის ერთ უკულტურესან ხალხისთვის, რომ ჩვენ ვიცით ფასი თავისუფლებისა, რომ ჩვენ ვიცით ფასი კანონიერებისა, დისციპლინისა და გვაქვს უნარი სახელმწიფო შემოქმედებისა.

ეხლა ჩვენ შემთხვევა გვეძლევა შევხვდეთ სხვა განათლებული ხალხის წარმომადგენლებს, რომელთაც უკვე შემოსდგეს ფეხი ჩვენ სახელმწიფოში.

ჩვენ ამ შეხვედრის, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, არც გვრცხვენია, არც გვეშინია (ძლიერი ტაში).

არ გვრცხვენია მისთვის, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი გარანტიები, რომელთა აკვანი იყო საფრანგეთის ინგლისის და ამერიკის დიდი დემოკრატია.

არ გვრცხვენია მისთვის, რომ ჩვენ ცხოვრებაში ვატარებთ სოციალურ რეფორმებს ხალხის სასარგებლოდ.

მართალია, ჩვენ ღარიბი ვართ ნივთიერად, მაგრამ მდიდარნი ვართ სულიერად. ამას გარდა, ჩვენ მდიდარნი ვართ ჩვენი მდიდარი ბუნებით და ვინც მოვა ჩვენში აღჭურვილი ცოდნით, უნარით, გამოიყენებს ჩვენს ბუნებას, თვითონ ისარგებლებს და ჩვენც გვახარგებლებს, ჩვენ მას ვეტყვით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და ჩვენი დახვედრა". ხოლო ვინც მოვა იმისათვის, რომ გაგვაღატაკოს, ვეტყვით: „ხელი შორს" (ძლიერი ტაში).

არც გვეშინიან ჩვენ, რადგან საფრანგეთმა, ინგლისმა, ამერიკამ და სხვა განათლებულმა სახელმწიფოებმა უკვე აღიარეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი ხალხის უფლებას არ გათელავენ. ჩვენ არ გვეშინიან იმიტომ, რომ საერთაშორისო დემოკრატიას მის ბრძოლაში უკეთეს მომავლისათვის ყოველთვის გავყვებით და არ ჩამოვრჩებით მას.

მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (ძლიერი ტაში).

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას- (ძლიერი ტაში).

ნ. ჩხეიძე სიტყვას ათავებს სრულ პირველ საათზე.

თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა

ნ. ჟორდანია. მოქალაქენო! ამ ასი წლის წინად საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე. ამ ექვსი თვის წინად იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა (ტაში).

ეს ორი ერთი მეორის მოპირდაპირე ერთი მეორის საწინააღმდეგო აქტი არის იმავე დროს აქტი ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემისა.

ამ ორ აქტს შორის არის ბევრი რამ საერთო, ამ ორივე აქტის მიზეზი იყო ერთი და იგივე, და ორივე აქტმა მიაღწია ერთსა და იმავე შედეგს.

ამ ორი აქტის საერთო მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს ხალხს თავი დაეღწია აზიურ ბარბაროსობისაგან და შედეგი ორივე აქტისა იყო ის, რომ საქართველო იხსნა ბარბაროსების შემოსევისაგან.

აქ თქვენ ხედავთ, რომ აქტი 26 მაისისა არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედითი, აქტი შექმნილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ. ეს იყო აქტი აუცილებელი და ხალხის გულიდან ამოხეთქილი.

ამ აქტმა საქართველო გადაარჩინა განადგურებას.

ამ აქტმა საშუალება მისცა საქართველოს, რომ მის მიწაწყალში არ შემოსულიყო შეიარაღებული ძალა მტრისა.

თუმცა ასეთი ძალა შემოვიდა, მაგრამ ჩვენ საშველად. და დარწმუნებული ვართ რომ თუ კიდევ შემოვა ჩვენში შეიარაღებული ძალა ევროპისა, ის იქნება ჩვენთვის საკეთილო. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი მისწრაფება იყო, რომ რამენაირად მოვშორებოდით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპის კულტურაში. ამიტომ ჩვენ არასოდეს გვქონია მტრული განწყობილება ევროპასთან და არც ევროპას ექნება ჩვენთან.

თუ ძველი რეჟიმის გერმანიის ჯარს არ შეულახავს ჩვენი სუვერენობა, ახალი გერმანიის და სხვა სახელმწიფოების მით უმეტეს დაიცავს ჩვენ ხელშეუხებლობას.

ამიტომ არ გვმართებს არც ცრემლთა ფრქვევა, არც უიმედობა. ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენ ისტორიულ გზაზე და გადაჭრით ვთქვათ: „არ გვინდა არც ქაოსი, არც ანარქია, სულ ერთია იქნება ის სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან" (ტაში).

დღეს ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ, უშუალოდ შევიდეთ ევროპაში. ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და მას არ გადავუხვევთ (ტაში).

გვეტყვიან, ეს თქვენი სურვილია და მარტო სურვილით სხვა ვინ შესულა სამოთხეში. ეს სურვილი უპასუხებთ ჩვენ, არ არის სურვილი უნიადაგო, და ვინც ჰფიქრობს, რომ ეს მხოლოდ სურვილია ის ძალიან სცდება.

მოხდა ერთი დიდი ფაქტი, ისეთი ფაქტი, რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ: მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია, თებერვლის რევოლიუცია და მან მხოლოდ საქართველოში ჰპოვა განმტკიცება. მთელ რუსეთში ბოლშევიკების მოქმედებამ ერთის მხრით აამუშავა ანარქია, მეორეს მხრით რეაქცია. ხოლო აქ საქართველოში რევოლიუციამ იპოვა თავისი ღირსეული პატრონი. საქართველოს დემოკრატია ვერ წაიყვანეს ვერც ანარქიის, ვერც რეაქციის გზით: დემოკრატია მხოლოდ აქ იშვა და დაეპატრონა მთელ ქვეყანას.

აქ, მხოლოდ აქ აღმოჩნდა დემოკრატია იმდენად ძლიერი, რომ ის გადასცილდა თავის ისტორიულ გზას და არ აჰყვა არც ერთ იმ გზას, რომელიც რუსეთში გამოჩნდა.

თავისუფლება მხოლოდ აქ განმტკიცდა, წესიერებამ მხოლოდ აქ ჰპოვა დამცველი: მოსპეთ თქვენ ეს თავისუფლება, და აქ გაჩაღდება დიდი არევ-დარევა; მოსპეთ წესიერება—მოისპობა თავისუფლებაც.

და ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ ხალხი ევროპიული და დემოკრატიული (ტაში).

ეს ხომ დაინახა ყველამ, მტერმა თუ მოყვარემ. დაინახა, რომ ჩვენ არა თუ გვსურს დამოუკიდებლობა, თავისუფლება და წესიერება, არამედ შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელნი, თავისუფალნი და შეგვწევს უნარი წესიერების დაცვისა.

ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები, რომ ამ თავისუფლებას მისცემოდა იურიდიული და კონსტიტუციური სახე: ჩვენი პარლამენტი და ჩვენი მთავრობა ამ მხრით დიდ მუშაობაში იყო.

წინად ჩვენ ვმუშაობდით რევოლუციისათვის, მაგრამ არ იყო დრო, რომ ჩვენ გვემუშავნა სახელმწიფოს აღშენებისათვის. მხოლოდ ექვსი თვეა, რა[illegible] ჩვენ შევუდექით ამ რევოლუციის [illegible] კონსტიტუციური [illegible] მოგვეცა.

ამ ექვსი თვის განმავლობაში [illegible] მოვაწყვეთ ერობა, შემოვიღეთ [illegible] მოვახდინეთ აგრარული რეფორმა, [illegible] რაც უფრო საყურადღებოა, ჩვენ [illegible] მივაქციეთ, რომ ჩვენ [illegible] კანონი [illegible] არ გვქონია, რომ სხვა, დიდ რესპუბლიკას ჰქონდეს იმდენი [illegible] ნება, რამდენიც აქვს ჩვენს რესპუბლიკას.

ჩვენ მოვაწყვეთ ჯარი, სამედიცინო [illegible], შემუშავებული გადასახადების ახალი სისტემა, გამოვიყვანეთ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და მოვაქციეთ [illegible] ტელეფონის ქსელი.

ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, იმას, რომ ხალხში გაგვევრცელებინა სწავლა-განათლება: ჩვენ გავამრავლეთ სახალხო სკოლები იქ, სადაც ის არ იყო, შევქმენით ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი.

9

ჩვენ მივიღეთ ყოველი ზომა, რომ ჩვენი ქვეყანა მართლა დამსგავსებოდა სახელმწიფოს. ჩვენ დიდი ყურადღება მივაქციეთ სასამართლოს და შევქმენით სამართალი გასაგებ ენაზე.

აი, ყველაფერი ის, რაც ნების გვაძლევს ვსთქვათ, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენი მუშაობით დავამტკიცეთ, რომ არა თუ გვსურს დამოუკიდებლობა, არამედ შეგვიძლია და შეგვწევს უნარი განვამტკიცოთ იგი.

უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება.

აქ მინდა ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: ჩვენ აქ შეგვიძლია მუშაობა არა მარტო საქართველოსათვის, არა მარტო საქართველოს მაგიერ, არამედ რუსეთისათვის, რუსეთის მაგიერაც. ჩვენი მტრები ავრცელებენ ხმებს, რომ ჩვენ აქ ავაწიოკეთ და დევნა რუსებს განსაკუთრებით რუსი ოფიცრების წინააღმდეგ. ამის თქმა დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა. ჩვენ, საქართველოს, ღირსეულად გავაცილეთ რუსები თავის სამშობლოსაკენ.

ხელთ მაქვს ციფრები, რომლის წინაშე უნდა დადუმდეს ყოველი ორგული და ცილისმწამებელი:

26 მაისიდან ჩვენ ბევრი დავხარჯეთ რუსეთის მაგიერ; ჩვენ მოვახდინეთ ფრონტის ლიკვიდაცია: ტფილისის ხაზინიდან მივეცით 22 მილ. 22 ათასი მანეთი, სოხუმის ხაზინიდან 9 მილ. 796 ათასი მანეთი; სენაკის ხაზინიდან 1 მილიონი მ. ფოთის ხაზინიდან 756 ათასი მან. ფოსტა-ტელეგრაფით 586 ათასი მან., მიმდინარე ანგარიშით 1,436,000 მან. რკინის გზიდან 1,400.000 მ. 26 მაისიდან მოვიხმარეთ სულ 35,517,000 მან.

ჩვენ მივეცით ოჯახებს 1,032,000 მ. პენსიონერებს 1323,000 მან. თქვენ იცით, რომ აუარებელი ფული ჰქონდათ შენახული ბანკებსა და შემნახველ კასებში. ეს ფული წაღებული იყო, მაგალითად, პეტერბურგში და იქ დახარჯული, რომ გამოეყვანა ისინი უბერხულ მდგომარეობიდან, ჩვენ მივეცით შემნახველ კასებს 10 მილიონი მან. და კერძო ბანკებს 28 მილიონი მან. აგრეთვე ჩვენ მივეცით სახელდახელო ანგარიშის გასასწორებლად 28 მილ. მ.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მაგიერ ჩვენ მივეცით 99.244,000 მან. ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვინმეს უდიერად მოვექეცით. ეს ციფრები აშკარად ჰლაღადებს, რომ ჩვენმა მელე ხაზინამ 98 მილიონი მან. მაინც გადისდვა რუსეთის მაგიერ.

და თუ მაინც ჩვენ ცილს გვწამებენ, რომ ჩვენ აქედან ვერეკებოდით და ძალით ვაგრეკეთ ვინმეო, ეს მომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკისადმი.

და აქ ჩვენ ვეტყვით მტრებს: „ხელი შორს, ნურას უყაირავად“.

მხოლოდ აქ ჩვენ შევსძელით შეგვექმნა პოლიტიკური თავისუფლება, წესიერი მართვა-გამგეობა და მხოლოდ მტერს შეუძლია ისეთი ცილისწამება. აიღეთ ხელი—ვეტყვით ჩვენ მათ—და გადიხვეწეთ იქ, სადაც თქვენი ადგილია. ჩვენ გვსურს გვქონდეს ჩვენებური წესწყობილება.

ჩვენ მოხარული ვიქნებით აღდგენილი რუსეთისა, ჩვენ მოხარული ვიქნებით, რომ მეზობელი მოძმეები იყვნენ უკეთეს პირობებში.

მაგრამ, ეს განა მოითხოვს იმას, რომ ჩვენი წყობილება, ჩვენი დამოუკიდებლობა მოვკლათ?!

დემოკრატიული წყობილება არ მოითხოვს იმას, რომ მეორე დემოკრატიული წყობილება მოისპოს.

ისინი სხვა სურვილებით სხვა მიზნებით არიან გატაცებული. ჩვენ ამ სურვილების წინააღმდეგ მივიღებთ ენერგიულ ზომებს.

ჩვენ ვქმნით დემოკრატიულ რესპუბლიკას და მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ვიქონიებთ მასთან. მაგრამ მოვითხოვთ, რომ, როგორც ჩვენ ვსცნობთ მათ სახელმწიფოს, მათაც სცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა, და ვიყვნეთ ერთმანეთთან. როგორც თანასწორი თანასწორთან (ტაში).

მხოლოდ ნება გვიბოძეთ გითხრათ, რომ ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში. ჩვენი რესპუბლიკა იარსებებს, თუ ამ ნიადაგზე მტკიცედ ვიდგებით.

გისურვეთ და უსურვებ ჩვენს თაობას, რომ 26 მაისი იყოს ჩვენი დღესასწაული.

ეს არის დღე საქართველოს გამარჯვებისა (ძლიერი, განუწყვეტელი ტაშის ცემა).

თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე 1 ნახევარ საათზე ჰხურავს კრებას.

საერთო დღესასწაული პარტიულ კლუბში

ჩვენმა პარტიამ ღირსეულად იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავი. ამ დღის აღსანიშნავად დილის ათი საათისთვის დანიშნული იყო საგანგებო საზეიმო სხდომა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეობდა ამხ. გიორგი ლასხიშვილი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარემ. მან აღნიშნა ის გონიერი დაუღალავი შემოქმედი სახელმწიფოებრივი მუშაობა, რომელსაც ქართველი დემოკრატია ეწეოდა ამ ექვსი თვის განმავლობაში და დასძინა, რომ „ის გრძნობა ჭმუნვისა და ნაღველისა, რომელიც უნებურად თან დაგვყვა სიხარულის გრძნობასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან, ამიერიდან უნდა შეიცვალოს სიხარულისა და შვების გრძნობად, გრძნობად ქართველი დემოკრატიის ზეიმისა, ვინაიდან ექვსი თვე თავდადებული მუშაობისა, საუკეთესო საწინდარია იმის, რომ არავითარ ძალას არ ძალუძს ქართველ მშრომელ ხალხს ხელიდან გამოჰგლიჯოს დიდების ბრძოლის ნაყოფი—საქართველოს თავისუფლება, მისი დემოკრატიული რესპუბლიკა“. ხალხმა ტაშის გრიალით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა პატარა ბელადის მხნე სიტყვა.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ს. ფირცხალავამ, შ. ნუცუბიძემ, ვახ. კოტეტიშვილმა, შ. მესხიშვილმა და ალ. წერეთელმა. ორატორებმა აღნიშნეს ამ დღის დიდი ისტორიული მნიშვნელობა, სთქვეს თუ რამდენი მტერი ახვევია გარს ქართველ მშრომელ ხალხს, მაგრამ დემოკრატია, თავისი მახვილი და გონიერებითა და მხნე მარჯვენით იგერიებს უამრავ მტერს: მიუთითეს თუ რა ნათელ პერსპექტივებს უხატავს დემოკრატიულ საქართველოს ევროპაში ამოვარდნილი რევოლიუცია და მოუწოდეს ხალხს გაითვალცინონ ენერგია საქართველოს სახელმწიფოს აღშენებლობისთვის, ვინაიდან საქართველოს ბედნიერება და ძლევამოსილება—დემოკრატიის გამარჯვებაა. ორატორებს ხალხი ოვაციებს უმართავდა. კრების დასრულებისას ამხანაგები ეროვნულისა და წითელი დროშებით გაემართნენ სასახლისაკენ, სადაც თავმოყრილი იყო აუარებელი, ზღვა ხალხი—საქართველოს ბედნიერებისა საზეიმოდ და სადიდებლად.

სასახლესთან

პარტიულ კლუბიდან ამხანაგები ეროვნული და რევოლიუციონური დროშებით სიმღერით გაემართნენ სასახლისაკენ, რომლის წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სობორის გალავანში ქართველ ჯარის პარადი იყო, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება, მოახდინა. აგრეთვე კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდენ მილიციონერები, რომელთაც მწყობრად დარაზმულნი თავის უფროსით სასახლის წინ გაიარეს. სობორის გალავნიდან აუარებელ ხალხის თანადასწრებით, რომელსაც მთელი ქუჩა და ასავალ-ჩასავალი მთლად შეეკრა რიგ-რიგად გამოდიოდა საქართველოს მხედრობის სხვა და სხვა ნაწილი. ყოველ ნაწილს საკუთარი სამხედრო ორკესტრი მოუძღოდა წინ, ამასთანავე ერთად ქალაქს დასტრიალებდა ჰაეროპლანები, რომელიც საქართველოს ეროვნულ დროშით იყო მორთული.

თვით სასახლეს საზეიმო მორთულობა ჰქონდა მაღლე ამ ზღვა ხალხს მიემატნენ კიდევ სხვა და სხვა უბნებიდან მოსულნი მუშები თავიანთ დროშებით, ხოროთი და მუსიკით. სასახლის დარბაზში შესვლის აუარებელი მსურველი იყო, მაგრამ კარებთან მისვლა ძლიერ გაძნელდა. ბევრი ისეთიც კი, ვისაც ბილეთი ჰქონდა, სხდომაზე ვერ მოხვდა, რადგან სხდომის დაწყების შემდეგ არავის უშვებდნენ.

პარლამენტის საზეიმო სხდომა მალე გათავდა და ნაშუადღევის 1-ნახ. ს. მონაწილენი გარედ გამოვიდნენ. აქ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც ოთხის ნახევრამდე გაგრძელდა. სასახლის შუა კარებთან დასდგეს ტრიბუნა, პირველად ილაპარაკა პარლამენტის თავმჯდომარე ქ. ჩხეიძემ. მან აღნიშნა მნიშვნელობა დამოუკიდებლობისა, მოიხსენია მისი მტრები და ის „მოციქულნი ეშმაკისა“, რომელნიც გვიცოდებენ, და დაგვტირიან, რომ ჩვენ თავისუფალ ცხოვრებას ვერ შევსძლებთ და მოუწოდა ხალხს საქართველოს სუვერენობის ყოველი საშუალებით დაცვისათვის. ბოლოს აღნიშნა, რომ როგორიც უნდა იყოს საერთაშორისო მდგომარეობა, ვინც უნდა მოვიდეს აქ, ჩვენ ყველას პირნათლად შევხვდებით, რადგან პატიოსან პოლიტიკას ვაწარმოებდით. ჩვენც არც ვისთანმე შეხვედრისა გვეშინია, არც გვრცხვენიაო.

ორატორს ხალხი „ვაშათი“ და ტაშით აწყვეტინებდა სიტყვას.

ნ. ჩხეიძის შემდეგ ილაპარაკა ნაძალადევის მუშათა წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მუშათა კლასი მუდმივად დაიცავს დამოუკიდებლობას, რადგან იგი რევოლიუციის მონაპოვარიაო.

შემდეგ ილაპარაკეს ალ ლომთათიძემ. ამხ. ალ. წერეთელმა და ამხ. დადიანმა, რომელთაც ხალხის ტაში და ვაშა გამოიწვიეს მათ ლამაზად დახასიათეს მაისის 26 მნიშვნელობა და აგრეთვე ის, რომ საქართველოს სუვერენობა ხელს შეუწყობს ჩვენი საბოლოო იდეალის-სოციალიზმის გზაზე წინსვლას და ქართველი მშრომელი ხალხის ბედნიერებას.

გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტების სახელით ამხ. ქ. კობახიძემ. რომელმაც აღნიშნა სტუდენტობის როლი საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ილაპარაკა აგრეთვე ქართველ მაჰმადიანების სახელით მემედ ბეგ აბაშიძემ, რომელმაც თავისი სიტყვა დაამთავრა ძახილით გაუმარჯოს მთლიან საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოსაო.

სიტყვები წარმოსთქვეს გვარდიის სახელით ვალ. ჯუღელმა. ილაპარაკა აგრეთვე ალ. გორგაძემ.

ბოლო სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ვლასა მგელაძემ, რომელმაც სიყვარულით მოიხსენია საქართველოს წარსული ბრძოლა არსებობისათვის, მისი როლი ისტორიაში და იმედი გამოსთქვა, რომ იგი ყოველგვარ კარცებს გაუძლებს. მიტინგი ამით დამთავრდა.

საღამოს

საღამოს მშვენივრად იყო მორთული სასახლე და ქალაქის თვითმმართველობა. აგრეთვე სახელმწიფო თეატრი, განსაკუთრებით გაჩირაღდნებული იყო ქალაქის თვითმმართველობის შენობა, რომლის შუაგულს ელექტრონით განათებულ ასოებით ქართულად ეწერა: გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ერთა სოლიდარობასაო. აღტაცებული ხალხი მთელი დღის განმავლობაში ქუჩის არ მოჰშორებია, და სიხარულით შეჰყურებდა და მონაწილეობას იღებდა ამ საერო დღესასწაულში.

სტუდენტების მანიფესტაცია

კვირას, დეკემბრის 1-ს, დილის 10 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში თავი მოიყარა ქართველმა სტუდენტებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 6 თვის თავის აღსანიშნავად. მიტინგი გახსნა მოკლე შესავალი სიტყვით ამხ. კოტე კობახიძენ. სოც.-ფედ. სტუდენტთა სახელით ლამაზის სიტყვებით მიმართა კრებას ამხ. ვარლამ ძიძიგურმა. ილაპარაკეს სხვა პარტიათა წარმომადგენლებმაც. სტუდენტთა მრავალ რიცხოვანმა გუნდემ დასჭექა „აღსდექ გმირთ გმირნო!..“ და პროცესია ეროვნული დროშით გაეშურა სასახლისაკენ. შორს გაისმოდა მშვენივრად და მძლავრი ხმებით ასრულებული სიმღერები: „თამარის დროშა გაშალეს“, „მარსელიოზა“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და სხვა.

ვერის დაღმართთან პროცესიას ჰხატრულ სიტყვით მიმართა სტ. გ. ნაკაშიძემ. სიტყვები წამოითქვა აგრეთვე ყოფილ კორპუსის სახლთან. სასახლემდე პროცესის განუწყვეტლივ ემატებოდა ხალხი და გრანდიოზული ხასიათი მიიღო. სტუდენტთა გუნდი მთელ გზას თითქმის შეუჩერებლივ გუგუნებდა ეროვნულ და სარევოლიუციო სიმღერებს. სასახლის წინ პარლამენტის წევრთა და სტუდენტთა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ქ. კობახიძის ლამაზ და შინაარსიან სიტყვის შემდეგ სტუდენტები გაეშურენ განათლების სამინისტროსაკენ, სადაც დროშა დასტოვეს და დაიშალნენ.

ზავის გარშემო

ჯარის დაბრუნება.

გერმანიის უკანასკნელი ჯარი ე-ლა შაპელითან 28 ნოემ. მოვიდა გერმანიაში. ასე რომ გერმანიის ჯარმა დაცალა მტრის ყველა ადგილი. ე-ლა-შაპელში დარჩა მხოლოდ საველე ლაზარეთი, რომელიც ჩამორჩენილებზე იზრუნებს. გერმანიის ჯარმა რეინის ქალაქები წესიერათ და მშვიდობიანათ განვლო.

ამერიკის ხარჯი.

ინგლისის პრესა. 28 ნოემბერი. ამერიკის საზღვაო ხარჯი 2644 მილ. დოლარიდან 1180 მილიონამდე ჩამოვიდა. არ შეკვეცილა მხოლოდ 600 მილიონი დოლარის სმეტა, რომლითაც 3 წლის განმავლობაში უნდა ააგონ 10 უდიდესი დრედნოუტი, 6 კრეისერი და 140 მცირე გემი.

ბუდაპეშტის აღება.

ჟენევიდან მიღებულ ცნობის თანახმად ფრანგებმა აიღეს ქ ბუდაპეშტი. ხალხი მათ დიდის აღტაცებით შეეგება.

გერმანიის საბჭოთა წარმომადგენელნი მივიდენ ქ ჰააგაში, რათა თვალყური ადევნონ ადგილობრივ საელჩოს, რომელსაც მათი აზრით საიდუმლო კავშირი აქვს ყოფილ კაიზერთან.

ბერლინში მოხდა გერმანიის მთავრობათა წარმომადგენლების ბჭობა, რომელსაც დაესწრო 70 წარმომადგენელი თანახმად კანცლერის განცხადებისა. მონარქიის ნაცვლად გერმანიაში უკვე დამყარდა სოციალისტურ რესპუბლიკანური წეს-წყობილება, რომ მთელი აღმასრულებელი ძალა უფლება უკვე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელშია. უახლოესი მიზანი ეკონომიურ საფუძვლის უზრუნველყოფაზე დამყარებული ზავია. ცუდ შედეგებს უნდა მოველოდეთ თუ საზავო პირობათა შემუშავება არ მოხდა სტატუს-სკვო-ს განცხადებით მდგომარეობა ერთობ საშიშია, ვინაიდან მოკავშირეთ განზრახული აქვთ გერმანიის სრული განადგურება, ხოლო გერმანიაში დაწყებული სეპარატისტული მოძრაობა თანდათან ძლიერდება, რითაც ხელს უწყობს ამ განზრახვას.

სოლფის განცხადება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლფმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა: მთელი ინგლისი შეუპყრია გამარჯვების მხეცურ სულს. აღარ გაისმის ლორდ ლანსდოუნის და მისტერ გენდენსონის ხმა, ხოლო ლორდ სესილის გადადგომა პირდაპირ დაკავშირებულია ხალხთა ლიგაზე „მის შეხედულებასთან“. არას ვიტყვით სულის მხაკვრულობაზე, მაგრამ რაიცა შეეხება ინგლისში გამარჯვების ზეიმს აქ ბ-ნი სოლფი სრულიად მართალია. მართალია ისიც, რომ ლორდი დანსლოუნი და მისტერი გენდერსონი სიამოვნებით აღნიშნავენ უფლების გამარჯვებას ძალადობაზე, რაიც მოკავშირეთა ჯარმა მოუპოვა ქვეყნიერობას ლორდმა სესილმა კი საჯაროთ განაცხადა, რომ მის გადადგომას არავითარი კავშირი არა აქვს საგარეო პოლიტიკასთან, რომელსაც იგი სავსებით იზიარებს.

ვილსონი საფრანგეთში.

დეკემბრის 3 ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი საფრანგეთისაკენ მიემგზავრება, სადაც ის დარჩება დაახლოებით ერთ თვეს.

იტალიელები.

იტალიელებმა ლანდეკიდან ფერადძერგისკენ წინ წაიწიეს. გაიარეს სტრიუნგენი ფლირი და იქ სამხედრო რაზმები დასტოვეს. სახალხო რაზმის ნაწილმა იარაღი დაჰყარა, ნაწილმა უკან დაიხია, რომ შეტაკება თავიდან აეცილებია.

რევოლიუცია გერმანიაში

საღმრთო სჯული.

საქსონიის კულტურის მინისტრმა ბიუიკმა სამღვდელოებას განუცხადა, რომ სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება 1919 წ. აპრილის 1 დან უნდა შესწყდეს. გადასახადების აკრეფის უფლება ეკლესიებს სრულიად ჩამოერთვა პოლიტიკურ კომუნებს არ ექნებათ უფლება საეკლესიო გადასახადი სახელმწიფო გადასახადებთან ერთად აკრიფონ.

პრესის თავისუფლება.

გერმანული პრესა, ნოემბრის 29. მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ სახალხო კომისართა საბჭომ ბეჭდითი საქმის სრული თავისუფლება გამოაცხადა და ამიტომ არც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და არც სხვათა დაწესებულებას არა აქვთ არავითარი უფლება და საფუძველი ჩაერიონ ამ საქმეში.

გერმანიის მდგომარეობა.

გერმანული პრესა, ნოემბრის 29. ამჟამად გერმანია „კერენსკის“ ხანას განიცდის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების დამშვიდებული მოქმედებანი არ აკმაყოფილებს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

◆ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ** უფასო სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის კახეთის რკინის გზის გამგეობას, რომელმაც შემოსწირა სასადილოს 300 მან გამგეობის წევრის რ. ნ. ყაზბეგის ხსოვნის აღსანიშნავად

◆ **† დ. გედევანიშვილი.** ახლად გარდაცვალებულ დამსახურებულ მასწავლებლის ლუარს ბერ. გედევანიშვილის დასაკრძალავად ტფილ წმ ნინოს ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ გიმნაზიის სპეციალური თანხიდან გადასდო ორი ათასი მანეთი, ხოლო ამავე საბჭოს წევრებმა დაადგინეს თვის შორის შეაგროვონ ფული და გვირგვინის ბადლად ეს ფული გარდასცენ გარდაცვალებულის ლ. ბ. გედევანიშვილის სახლობას.

◆ **ნინო ორბელიანი** ჩვენი პოეტი ქალი ნინო ორბელიანისა ძლიერ დიდ გაჭირვებაში არის არც ბინა აქვს. არც საჭმელ სასმელი ამ ჟამად იგი არის ერთ კეთილ ადამიანთან პრიუტის ქ. № 5 ოლღა გუბელაძესთან. საჭიროა მწერალთა საზოგადოებამ და ქალთა წრემ ყურადღება მიაქციოს.

◆ **მარქსისტთ. ორგანიზაცია.** ნოემბრის 4, მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაცია ჰმართავს საღამოს, გერმანიის რევოლიუციის აღსანიშნავად წაიკითხავენ მოხსენებას აიოლო და სმირნოვი. მონაწილეობას მიიღებს გუნდი სახალხო უნივერსიტეტისა ფასი ბილეთებისა 1 მანეთი

◆ **თხოვნა.** რუსეთიდან დაბრუნებულ პირთაგან თხოვნა, თუ ვინმემ რამე იცის ქ. ოდესაში მყოფ პოდპორუჩიკ ევსევი ჩიქვანიაზე გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი მისამართით: ტფილისი, სასახლის ქ, რედაქცია „ალიონი“, ს. № 5, თომა ჩიქვანაიას.

◆ **სტუდია** ამ დღეებში ხმები გავრცელდა, ვითომ ქ დრ. საზ. სტუდია დაშლილიყოს. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია და საქმის ვითარებას ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

◆ **გაძარცვა.** დეკემბრის 2, ღამით ბარიატინის ქუჩაზე სამი უცნობი, ჯარის კაცების ტანსაცმელში, მივიდნენ ე. გრიგორიანცთან და მოსთხოვეს წარმოადგინა თავის მოწმობები. როდესაც გრიგორიანცმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ერთმა ყელში წაავლო ხელი, ორმა კი ჯიბიდან ამოაცალა 780 მან. რის შემდეგაც ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

◆ **მილიციონერების ფორმა** მილიციონერები ახალ ფორმით დადიან.

◆ **საეკლესიო საქმეები.** ბათომის განყოფილების თხოვნით რუსთა ეროვნულმა საბჭომ სთხოვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რათა მათ გადაეცეს შესაბამად ქონება ბათომის სამხედრო სობორისა, რომელიც ბათომიდან ტფილისშია გადმოტანილი და ინახება ალექსანდრე—ნეველის სობოროში. საბჭომ პასუხად მიიღო, რომ სანამ არ გადაწყდება საკითხი ამ სობოროს საქართველოს სამხედრო უწყებისათვის გადაცემისა, ეს ქონება რუსებს ეროვნულ საბჭოს არ გადაეცემა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

რაზმელთა საყურადღებოდ: იმ რაზმელთ, რომელთა სია გაგზავნილია მილიციის უფროსის კანცელარიაში ევალებათ წაიღონ თავიანთი სურათი (მილიციის უფროსის კანცელარიაში პირველი სტოლი) და გამოიტანონ მოწმობები.

სამხედრო საბჭო.

—

ტფილისის გუბერნიის კომიტეტი. დღეს, სამშაბათს 3 დეკემბერს დანიშნულია გუბერნიის კომიტეტის საგანგებო კრება, დასაწყისი საღამოს 7 ს.

—

ქალაქის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრებს სთხოვენ მობრძანდნენ საქალაქო კომიტეტის ოთახში ხუთშაბათს, ნაშუადღევის ოთხს საათზე ქალაქის კომიტეტის სარევიზიოდ.

—

ოთხშაბათს, დეკემბრის პარტიულ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი პარტიული კრება. წაკითხული იქნება მოხსენება მთავარი კომიტეტის ერთ ერთი წევრის მიერ.

პროვოკაციული ცნობები

როგორც გაზ. „ბორბა“ გადმოგვცემს მათ მიულიათ ოდესის გაზეთები, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი ამბებია:

1. სომეხ-ქართველთა შეტაკება კავკასიაში.

ძველმა ზიზღმა ქართველებისამ სომხებისადმი კვლავ იჩინა თავი არაჩვეულებრივ ძალით. აუარებელი მსხვერპლია ზღვაა სისხლისა.

„კაროლ ალბერტით“ ფოთიდან მოიყვანეს ოდესაში დაჭრილი გერმანელები იგინი დაჭრილნი არიან შემდეგ პირობებში: ქართველები ფოთში დაეცნენ სომხებს და, როგორც მოსულები გვარწმუნებენ, დაუწყეს ხოცვა. სომეხთა ჟლეტის დროს ამ უკანასკნელებს გერმანელები მოეშხრნენ. როდესაც გერმანელი ჯარები წავიდნენ ფოთიდან, ისევ დაიწყო სომეხ-ქართველთა შეტაკება. მსხვერპლი სომხების მხრივ აუარებელია.

2. ომი სომეხ-ქართველთა შორის.

როსტოვი ნ. დ. ნოემბრის 10 (ჩვ. კორ). ამიერკავკასიიდან მოსულები გადმოგვცემენ, რომ სამხედრო მოქმედებანი სომეხ-ქართველთა შორის იღებენ ფართო ხასიათს. უკანასკნელ დღეების ბრძოლაში სომხებმა გაიმარჯვეს. მათ მიერ დაკავებულია ტფილისის მიდამოები. („ოდესსკია ნოვოსტი“ ნოემბრის 12).

თეატრი და ხელოვნება

ქართული დრამა. ამ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში დაიწყება სეზონი ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირისა. დასი უკვე შემდგარია შემდეგ მსახიობთაგან: აბაშიძე ტასო, ანდრონიკაშვილი ელო, ანკარა სოფიო, გოგოლაშვილი თამარ, დავითაშვილი ნინო, ლეჟავა ოლღა, მესხი ეფემია, სინაურიძე ოლღა, ქილარჯიშვილი მარგარიტა, ჩერქეზიშვილი ელისაბედ, ჩხეიძე ანნა, ჯავახიშვილი ნატალია, აბაშიძე ვასო, აბდუშელი დ. ბარველი ივ. გვარამე ნ., გუგუშვილი ალ. დადიანი შ. იმხნელი გ. მატარამე ე., ქივიძე იოს., სანდალა ალ., სარაული მიხ, ფრონისპირელი გ. ციციშვილი ნ., ძნელამე დ., ჯაფარიძე შ.

აგრეთვე დროგამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ ნინო ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი. ვალ გუნია, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, კ. ყიფიანი.

რეჟისურაში მონაწილეობას მიიღებენ ბბ. შიუკაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ზალცმანი და შ. დადიანი.

რეპერტუარში ჯერჯერობით შეტანილია შემდეგი ახალი პიესები; „ტარიელ გოლუა“ ლეო ქიაჩელისა, „სინათლე“ II ნაწილი — ი. გედევანიშვილისა, „ვარამი“ — შალვა დადიანისა „ბურუსი“ — სიო ჰანტურიშვილისა, „ბედის ტრიალი“ — ერისთავ-ხოშტარიასი, „მწირი სარდალი“ დუტუ-მეგრელისა. ძველთაგან: „ლალატი“ — სუმბათაშვილისა, „სიმახინჯე“ — ნ. შიუკაშვილისა, „მთის ზღაპარი“ მისივე; „უგვირგვინო მეფენი“ — ალ. შანშია-შვილისა, „ვინ არის დამნაშავე“ — ნ. ნაკაშიძისა, „მსხვერპლი“ — ი. გედევანიშვილისა.

დასი უკვე შეუდგა მეცადინეობას და განზრახვა აქვს, პირველი წარმოდგენა გამართოს პარასკევს დეკემბრის 6 ს

ჩვენი სკოლის გარშემო.

თანამედროვე ცხოვრების განახლებაში ჩვენს პატარა ერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამას გრძნობენ ჩვენი მტერ-მოყვარენი და ამას, იქვი არ არის, მომავალი საერთაშორისო კრებულიც დაადასტურებს. ჩვენს ხალხს თავიდანვე თავისი ისტორიული არსებობიდან — სჩვეოდა კულტუროსნობა, კეთილშობილური გრძნობა ყველა ერისადმი. მას არასოდეს უღალატნია შემდეგ ფრიად მიზანშეწონილი და მარტივი დებულებისათვის: „იცხოვრე, მაგრამ მეც მაცხოვრე“.

განსაკუთრებით ღირს შესანიშნავია ჩვენი ხალხის ყოფნა რუსეთის მონობის ქვეშ და მისი ლტოლვა, მისწრაფებანი, ცდა ამ მონობისაგან თავის დაღწევისა. ეს მისწრაფებანი ყოველთვის შეეფერებოდნენ ხალხის ღირსებას, საშუალებანიც ასეთი მისწრაფებათა ხორც შესასხმად ყოფილა ყოველთვის სპეტაკი, შეუბღალავი.

შეგნება მდგომარეობის სახალხო ინტერესების, ეროვნების, ამ უღირესი ღირებულების, განთავისუფლება და მისი [illegible] გაფურჩქვნა, ნათლად შესისხლხორცება იმ სალ და ადამიანურ დებულებისა, რომ ყველა ერთა განთავისუფლება და თავისუფალ ერებთან თანასწორ უფლებიანი კავშირი, შრომის, ამ ბედნიერების და კულტურის ასაყვავებელ წყაროსი, განთავისუფლება — აი მოკლეთ ყველაფერი ის, რასაც შეძლებისამებრ ყოველთვის ახორციელებდა იგი.

ჩვენმა ხალხმა ეს მარგალიტი იდეები გამოხატა თავისი სვინიდის სახით — სპეტაკი არჩილ ჯორჯაძის პირით, რომელიც ამბობდა, რომ ქართველი ერი არ არის ვინმესი მტერი, მისი ბუნება ვერ ეგუება ღვარძლიანობის აშენებას, ლალატს, მხოლოდ მას სურს იარსებოს, როგორც ერმა და მსოფლიო სამსხვერპლოზე შრომის გასათავისუფლებლათ თვისი სახით ზვარაკი შესწიროს, იმ არჩილის პირით, რომელიც თავისი სალი გონებით და წმინდა მგრძნობიარე გულით წინასწარ განსჭვრეტა იმ დიადს მომავალს, რომელსაც უწოდებდა „შეთანხმებას“.

დღეს, მართლაც, ყველა ჩვენთაგანი ხედავს ჩვენს ერს, როგორც ერთს მთლიანს მტკიცე „მე“-ს, რომელიც უღრესი სამართლიანობის, სიყვარულის და სათნოების დამცველი და ქურუმია.

ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენს სიმტკიცეს, გაერთიანების ნაყოფს და ყველა იმ ცხოველმყოფელ შედეგს, რომელსაც მოველით ჩვენი სახელმწიფოებრიეობისაგან, შევინარჩუნებთ მხოლოდ მაშინ, თუ შესაფერი პრაქტიკული მუშაობა გავაჩაღეთ, თუ საძირკველი ჩვენი ცხოვრებისა, ცოდნის, ამ უტყუარ ძალის, გადასაცემი ტაძარი — ჩვენი სკოლა სახალხო საქმეს, მისი აღორძინების საჭიროებას შევუფარდეთ.

მე, როგორც ამ ტაძარში მცირე მუშაკს, მაინტერესებს სასკოლო საკითხი სკოლის სახე ჩვენს განახლებულს მამულში.

მე მინდა ხაზი გავუსვა იმ აზრს, რომ ბრწყინვალე მომავალი ჩვენი სახელმწიფოებრივობისა და ხორც შესხმა ყველა იმ შარავენდედით მოსილ იდეებისა, რომელსაც ჩვენი ხალხი ყოველთვის ატარებდა და ატარებს თავის ბუნებაში, უზრუნველყოფილი იქნება უმთავრესად ჩვენი რიგიანი სკოლის შემწეობით და ისეთი ქართველთა აღზრდით, რომელნიც უფრო ძლიერად შესძლებენ ეროვნულ ცეცხლის გაღვივებას ჩვენს მშრომელს მასაში და რომელნიც უფრო ღირსეულათ, სწორე გზით ხელს შეუწყობენ მშრომელთა სამეფოს დაარსებას.

ჩვენი სკოლა უნდა გახდეს, მაშასადამე, ეროვნული არა მარტო საგნების, ცოდნის გადაცემით მშობლიურს ენაზე და თვით ამ საგნების შერჩევა გადარჩევით, რომელიც აღორძინებს ჩვენს მამულს, ფრთებს გაუშლის ჩვენს მეურნეობას, მრეწველობას და ამით ჩვენს ერს გვერდში ამოუყენებს ეკონომიურად ძლიერ ერებს.

მით უმეტეს ამგვარი ცდა დღეს გვმართებს ჩვენ, როდესაც ჩვენს სახელმწიფოს უშუამავლო კავშირი უხდება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან.

მე არ მინდა ვსთქვა, რომ საზოგადო საგანმანათლებლო სასწავლებლები ჩვენთვის არ იყოს საჭირო, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენს ეკონომიურად სუსტს ქვეყანას უფრო მეტად სჭირია სამეურნეო, საკომერციო, სატეხნიკო და სხვა ასეთი სახის სასწავლებლები.

ჩვენი სამინისტროს ყურადღებაც აქეთკენ არის მიმართული, მაგრამ მხოლოდ სამინისტროს ყურადღება არა კმარა საქმისათვის. თვით საზოგადოების ვალია, შეიგნოს ამგვარ სკოლების საჭიროება და დაეხმაროს სამინისტროს ზნეობრივად და მატერიალურად.

ძალიან გაგვიკვირდა და შევწუხდით კიდეც, როდესაც გავიგეთ, რომ ქუთაისში არსებული საკომერციო სასწავლებელი დიდს გაჭირებას განიცდის, რადგან ამ სასწავლებლისთვის ყოველ წლიური დახმარება მოუსპია ქუთაისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დღემდის არ იშურვებდა ამას

ქუთაისის საკომერციო სასწავლებელი დიდი ყურადღების ღირსია საზოგადოებისაგან. საჭიროა კარგად გაეცნონ ამ სასწავლებელს, რომელსაც ქუთაისში, გარდა „სინათლის“ გიმნაზიისა, ბადალი არ აქვს. სირცხვილი არ არის ახლა ამ ჩვენი აღორძინების დროს საკომერციო სასწავლებლის არსებობას ბოლო მოეღოს ქუთაისში?

კარგად ვიცნობ ამ სასწავლებელს, რადგან ქუთაისში ვმსახურობდი, ვიცნობ იქაურ პედაგოგების ერთსულოვან მუშაობას სასწავლებლის ასაყვავებლად. ვიცი აგრეთვე, რომ სასწავლებლის დროებით მმართველს არკ. ჩხენკელს განუზრახავს საქმის უფრო გაფართოვება ახალი, შესაფერი შენობის შოვნით მაგრამ ყველაფერს ამას საშუალება სჭირდება.

მართალია, ფინანსები ჩვენი სახელმწიფოსი სუსტი გახლავთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი სახალხო სამინისტრო არ დაიშურებს ქუთაისის საკომერციო სასწავლებლისათვის დახმარებას, სხვა სახის სასწავლებლისათვის სუბსიდიის დაკლებაც რომ დასჭირდეს.

კარგი იქნებოდა აგრეთვე, ჩემის აზრით, სამინისტროს წარმომადგენელი ვინმე წასულიყო ქუთაისს და ეღონა იქ ადგილობრივ იმ საშუალებათა აღდგენა სასწავლებლისათვის, რომელსაც იგი წარსულ წლებში იღებდა კერძოდ

ქ. გაგუა

წერილი რედაქციის მიმართ

თელავის სას. სასწავლებლის მასწავლებელ ვლ. ედილაშვილის და ნ. მარკოზაშვილის საპასუხო წერილი (სახ. საქმე № 473), სოფელში ყოფნის გამო, სამწუხაროდ გვიან წავიკითხე და პასუხი დამიგვიანდა.

ისინი ცდილობენ ვითომ და მიპასუხონ ჩემ წერილზე „უპატრონო სასწავლებელია (სახ საქმე 19 ღვინობისთვიდან), მაგრამ თუ მკითხველს ეხსომება ჩემი წერილის შინაარსი, გოგოლის უნტერ-ოფიცრის ცოლივით, თავის თავს თვითონვე იროზგავენ.

ისინი ამბობენ-წინედ სასწავლებელში სცხოვრობდა ორი უფროსი, წელს ერთი უფროსის ბინა განთავისუფლდა და იქ დავდექით, ზედმეტად დავიკავეთ მხოლოდ ერთი ოთახი. ისიც საპედ. საბჭოს თანხმობითო... აბა, ეს არის ფაქტების დამახინჯება. დიახ, ერთი უფროსის ბინა განთავისუფლდა, რომელშიაც, თუ სწორედ იტყვით, უნდა ეცხოვრა არა ედილაშვილ — მარკოზაშვილს, არამედ ალავერდის ეპისკოპოზს.

ისიც ტყვილია, როცა ამბობენ-წელს განთავისუფლდაო, წელს-კი არა, შარშანვე დაიჭირა მარკოზაშვილმა სასწავლებლის შენობა, საპედ. საბჭომ ამის ნება დართო მარტო ზაფხულში, ვიდრე სწავლა დაიწყებოდა, რასაც დაამოწმებენ თვით საბჭოს წევრები

ტყუილად ჰგონიათ ამ ორ მასწავლებელს, რომ პირადად მათ წინააღმდეგ ვისმეს რაიმე ჰქონდეს, ჩვენ გვაინტერესებს საზოგადო საქმე და იმ მოწაფეთა ბედ-იღბალი რომელნიც უსახსრობით წელს შინ დარჩნენ.

რაც შეეხება მღვდელ-მთავარს, სასწავლებლის შენობა სასულიერო წოდების საკუთრებას შეადგენს და საეპარქიო კრებამაც თავის დადგენილებით დაუთმო საცხოვრებელი ბინა.

შესაძლებელია ჩვენ ამასაც არ თანაუგრძნობდეთ, მაგრამ საბუთი არა გვქონდა მოგვეთხოვა მისი გაძევება.

ედილაშვილ — მარკოზაშვილის საქმე-კი სულ სხვაა, ამათ რომ ეს ბინები დაეცალათ, 4—5 ოთახი განთავისუფლდებოდა, სადაც ადვილი შესაძლებელი იყო ღარიბ მოწაფეთა მოთავსება, რითაც ბევრს შეძლება მიეცემოდა სწავლის გაგრძელებისა.

სრულიად უსაფუძვლოა მათი თავის მართლება — ჩვენი შეგირდები არ არიან მიჩვეულნი უსახლისპატრონო ცხოვრებასაო, თუ ასეა, მაშ როგორ სცხოვრობენ ეხლა, რაც არ შეიძლება არ იცოდნენ მათ, მაგრამ ხელს აფარებენ, ან როგორა სცხოვრობდნენ სწორედ ამ სასწავლებლიდან გადასულნი შარშან ტფილ. სასულიერო სემინარიის შენობაში, ამასაც ხომ ვერ ჰყოფენ უარს და თუ ამაზე ჰქონდათ ბჭობა და შესაძლებლად ვერა სცნეს, ალბად იმისთვის, რომ თვით მასწავლებელნი იყვნენ დაინტერესებულნი, რადგანაც წმ. ნინოს სასწავლებელშიაც მასწავლებლებმა დაირიგეს ოთახები მაგრამ ამაზე შემდეგ.

რაც შეეხება შეშასა და ნავთს, ამაზე თავის დროზე მიიღეს პასუხი, მხოლოდ ეხლა სკოლის მოსამსახურეებზე (სტოროჟებზე) ითქმოდა-კიდევ, მაგრამ ზოგი დარჩეს...

ყველაფერზე რომ პასუხსა სწერენ, მერე ამბობენ — ჩვენ რომ პასუხს გავუყვეთ, გაზეთი ნებას არ მოგვცემს და საზოგადოებაც აღელდებაო და სამედიატორო სასამართლოში მიწვევენ.

ჯერ ერთი საზოგადოება თქვენი პასუხით — კია არა, იმიტომ ღელავს, რომ თქვენ იქ უსაფუძვლოდ სცხოვრობთ, არ მორჩილებით საეპ. კრების დადგენილებას, რომლითაც თქვენ შემოდგომისთვის უნდა გაგენთავისუფლებინათ ბინა და ამ 1—2 კვირის წინათაც ოფიციალურად წინადადება მოგცათ დაგეცალათ ოთახები, მეორე — სამედიატორო სასამართლოში გაყოლას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა რაიმე საკითხია გამოურკვეველი და რა უნდა გაარჩიოს სასამართლომ, ის რომ თქვენ იქ არა სცხოვრობთ? ეს ჩემთვის გაუგებარია.

ტყუილად ჰგონიათ. რომ მარტო მოვათავსე მათზე წერილი. ალბად წაიკითხავდნენ ამ ზაფხულს „საქ. რესპუბლიკაში“, „საქართველოში“ და „სახ. საქმეში“ ვინმე დაინტერესებულის წერილებს.

მე ჩემ მცირე წერილს ფაქტებზე ვამყარებდი, მაგრამ მაინც მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი სამედ. სასამართლოსი, თუ ისი საბუთებით დაამტკიცებენ: 1. რომ ისინი იქ არა სცხოვრობენ და ტყუილად ცილსა ვწამებ; 2. რომ საეპ. საბჭომ ამ ზაფხულს არ დაადგინა მათი სასწავლებლიდან დათხოვნა და ოფიციალურადაც არ მიეწეროთ მათთვის და 3, თუ საპედაგოგიო საბჭოს გამოეტანოს როდისმე ისეთი დადგენილება, ვითომ სანუდამოდ და არა დროებით დასთმობდეთ მათ სასწავლებლის შენობა.

ლ. გ—ძე

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი დ. ა. ხარაძე [illegible] ყოველ დღე შინაგან და [illegible] სნეულებებით ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37 აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი ე. ნ. [illegible]ლი მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] კლინიკის. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტ. ლ. 9—36. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. [illegible] ვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. [illegible] (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] სნეულებანი. [illegible] ქუჩა № 7 [illegible] 901

ექიმი მ. ა. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა, საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ 5—86. 1270

ექიმი ი. ი. [illegible] მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით [illegible] შესახვევი [illegible] № 8. 361

ექიმი ქ. ტუმალაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6 8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ვ. [illegible] ღებულობს ავადმყოფთ დილის 12— [illegible] საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

თვალის სამკურნალო [illegible]

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენაში და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პრ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ქარებისა [illegible]. რენტგენოგრაფია საჭიროთ. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კირილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 3026

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. გ. [illegible]

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა [illegible] სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92 [illegible] ღებულობს უფასოდ. 1840

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. [illegible] — შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტუმალაძე — კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი — [illegible] ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე — შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. [illegible] — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. ვ. ჯაფარიძე — [illegible] ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. [illegible] — ბაქტერიოლოგი — გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა [illegible] შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აბანო და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, [illegible] მოედანთან, ტელეფონი № 9—8 სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი 2178

[illegible] კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—2 ს.

ბ. ა. [illegible] — 11—2 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ნ. [illegible] 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. [illegible] — კანისა და ვენერიული ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. [illegible] 10—12 ს. [illegible]

[illegible]

[illegible] 1—1 ს. [illegible]

[illegible] 8 მან. [illegible]

სამკურნალოს [illegible] დოქტორი ა. [illegible]

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს. თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 130, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის № 14, (კალოუბნის ქ. 14).